აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა ხდება დაინტერესებული პირის მიერ სამინისტროს ელექტრონულ რესურსზე (სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.moa.ge) ან/და შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - publicinfo@moa.ge წერილობითი განცხადების (PDF ფორმატში სკანირებული ფაილი) წარდგენის გზით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე შემოსული განცხადება მიღებისთანავე რეგისტრირდება სამინისტროს საქმისწარმოების განყოფილებაში და გადაეცემა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე (მატერიალური და ელექტრონული ფორმით) პასუხისმგებელ პირს და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რომლის კომპეტენციასაც წარმოადგენს მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადება.

3.,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება განცხადების ელექტრონულად მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

4. ელექტრონულად მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადების შემდეგ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ამზადებს შესაბამისი წერილის პროექტს ინფორმაციის გაცემას ან გაცემაზე უარის შესახებ, რაც ელექტრონულად ეცნობება განმცხადებელს.

5. საჯარო ინფორმაცია გაიცემა განმცხადებლის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნით. თუ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაგზავნა მისი მოცულობიდან გამომდინარე ელექტრონულად შეუძლებელია, სამინისტრო იტოვებს უფლებას, განმცხადებლის თანხმობის შემთხვევაში, ინფორმაცია გასცეს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.